

- სასპორტო გაერთიანების მიზანი და საქმიანობის პრინციპები:
  - ბავშვთა, მოზარდთა და მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმა სპორტულ, გამაჯანსაღებელ და კულტურულ მოძრაობაში;
  - ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოსახლეობის ფართო ფენებში;
  - თანამედროვე სტანდარტების დონეზე სპორტული სანახაობათა პროცესის ორგანიზება;
  - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

სასპორტო გაერთიანება ახორციელებს სასპორტო საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამდენიმე სახეობაში:

- პირველი (დაწყებითი) ეტაპი-საერთო ფიზიკური და დაწყებითი მზადება.
- მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპი-საწვრთნელი სასპორტო საქმიანობა.
- მესამე (საშუალო) ეტაპი - სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა.
- მეოთხე (უმაღლესი) ეტაპი-უმაღლესი დაოსტატების სასპორტო საქმიანობა.
  - ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები;
  - ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომლიც (ინდივიდუალური და პრესპექტიული გეგმის შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და უმაღლესი დაოსტატების ეტაპებზე;
  - სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა საქართველოს ფარგლებში; ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;